



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასურელ მამათა ცხოვრებანი

ასურელ მამათა ცხოვრებანი, ძვ. ქართული მწერლობის ძეგლები, ასურელი მამების ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი თხზულებანი. VI ს-ში ასურელ მოღვაწეთა მიერ საქართველოში საფუძველფაყრილმა სამონასტრო ცხოვრებამ დიდი კვალი დააჩნია ქართვ. ხალხის ისტორიას, ხოლო მათ მიერ გაშენებულმა სავანეებმა (გარეჯა, შიომღვიმე, წილკანი, ნეკრესი, იყალთო, ალავერდი, ზედაზენი...) დიდი როლი შეასრულა ქართ. მწიგნობრობის ისტორიაში. ქართვ. საზოგადოებრიობის ინტერესი ამ მოღვაწეებისადმი ძველთაგანვე დიდი იყო. შეიქმნა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი, რ-ებიც გვაცნობენ ამა თუ იმ მოღვაწის თავგადასავალს. საფიქრებელია, რომ ა. მ. ც. ადრეც აღინერა, მაგრამ უძველეს ძეგლებს ჩვენამდე არ მოუღწევია. დღეს ცნობილ თხზულებათაგან უადრესი უნდა იყოს „მოქალაქეობად და წამებად წმიდისა აბიბოს ნეკრესელ ეპისკოპოსისად“, რ-იც კათალიკოს არსენ დიდ საფარელს (IX ს.) მიენერება. X ს-ში კათალიკოს არსენ II-ს დაუნერია „ცხოვრებად წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაძნელისად და მონაფეთა მისთად“ და „ცხოვრებად და მოქალაქობად ღირსისა მამისა ჩუენისა შიოდსი და ევაგრესი“. იმავე საუკუნეში უცნობ ქართვ. მწერალს შეუთხზავს „ცხოვრებად და მოქალაქობად წმიდისა მამისა ჩუენისა დავით გარესჯელისად“. დასახელებულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში აღწერილია ასურელ მოღვაწეთა მოსვლა საქართველოში, სამონასტრო მშენებლობის წამონწყება და საკულტო კერების დაარსება; გვხვდება საყურადღებო ცნობები საქართვ. სახელმწიფოებრივ-პოლიტ., სოც.-ეკონ. და კულტ. ცხოვრების ისტორიიდან.

XI-XII სს-ში ლიტ. გემოვნების ცვლასთან დაკავშირებით დაინყო ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველი რედაქციების გადამეტაფრასება (იხ. მეტაფრასი). დაინერა იოანე ზედაზნელის ცხოვრების ორი მეტაფრასული რედაქცია. ერთ-ერთის შექმნის ინიციატორი ზედაზნის წინამძღვარი მიქაელი (XI ს.) იყო; დამუშავდა შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის ცხოვრებათა მეტაფრასული რედაქციები; ნეკრესის უცნობმა

მღვდელმთავარმა (XII ს.) გადაამეტაფრასა აბიბოსის წამების წიგნი.

ინტერესი ასურელ მამათა მიმართ არც შემდგომში შენელებულა. ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილმა (XVII-XVIII სს.) დაწერა „დაძინებაჲ ისე წილკნელ ეპისკოპოსისა“, მარიამ-მაკრინე ბაგრატიონ-ჩოლოყაშვილმა (XVIII ს.) – იოსებ ალავერდელის სვინაქსარული ცხოვრება. გარკვეული ადგილი დაუთმეს ასურელ მამებს ანტონ I-მა „მარტირიკაში“ და იოანე ბატონიშვილმა „კალმასობაში“.

ა. მ. ც-ის მოკლე რედაქციები შესულია „ქართლის ცხოვრებაშიც“.

ლიტ. იხ. სტ-თან [ასურელი მამები](#).

ლ. მენაბდე
